№ 53 მარტი 12, შაბათი 1888 მარტი 12, შაბათი № 53

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 70
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სამპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

ტფილისი, 11 მარტი

დღეს მკითხველი ამოიკითხავს ჩვენს გაზეთში საყურადღებო ამბავს, რომ ბ-ნი ი. მეუნარგია ოცს ამ თთვისას ჰმართავს საჯარო ლექციებს გამოჩენილის პოეტის გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და ნაწერების შესახებ. ამ ამბავს მით უფრო დიდის სიამოვნებით უნდა მივეგებნეთ, რომ ჩვენ მაინცა და მაინც დაჩვეულნი არა ვართ კრიტიკულს შესწავლას მწერლობისას, რაიცა ხელს უმღის მწერლობის გაძლიერებას და გავრცელებას და, მაშასადამე, საზოგადო აზრის მოძრაობასა და ზრდასა. ეს ჩვენი აზრი რომ მართალია, ამას ამტკიცებს ჩვენის მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა. არც ერთი წარმომადგენელი, არც ერთი ხანა ჩვენის მწერლობისა რიგიანად შესწავლული და განხილული არა გვაქვს და საზოგადოებამ არა იცის-რა საფუძვლიანად და დაწვრილებით თავის მწერლობის შესახებ. ამიტომაც ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში წარა-მარა, დაუსაბუთებულს ლაპარაკს და აზრსა როგორც მთელის მწერლობისა, ისე ცალკე წარმომადგენელთა შესახებ. ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ უმთავრესი სახსარი და მიზეზი საზოგადო აზრის წარმატებისა მწერლობის კრიტიკული შესწავლაა; ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენია ის დედა-წერტილი, რომლიდგანაც შესაძლოა კაცმა სამართლიანად და პირ-უთვნელად გადახედოს მთელს მწერლობას და უტყუარი განაჩენი დასდოს რომლისამე სალიტერატურო მოვლენის გამო. უეჭველია შენიშნული გექნებათ, რომ კრიტიკულის აზრის სისუსტე, ნაკლებულობა და საზოგადო აზრის სიყალბე და სილაყე ერთი-ერთმანერთზე დამოკიდებულია და სწორედ ეს გარემოება ღრღნის და ხელს უშლის ჩვენის გონების წარმატებას, ნათელის, ჭეშმარიტის აზრის დადგენას და გავრცელებას ჩვენის ცხოვრების შესახებ. ჩვენი აზრი რომ არც გადაჭარბებული და გაზვიადებულია, ამის საბუთი მთლად ჩვენი ცხოვრება და ჩვენი მწერლობაა. აბა დაგვისახელეთ ერთი რომელიმე ცოტათი მაინც თვალ-საჩინო კრიტიკული ნაწარმოები, ერთი რომელიმე სამართლიანად და საბუთიანად დამყარებული კრიტიკული აზრი. ვერც ერთს ისეთს მოღვაწეზე ვერ მიგვითითებთ, რომელსაც თავი გადაედვას მწერლობის კრიტიკულად შესწავლისათვის; სამაგიეროდ-კი მრავალს უსაბუთო მსჯელობას მოისმენთ ხოლმე, ბევრს ისეთს რასმეს გაიგონებთ, რისგანაც «ყურნიცა დავალდებიან» და რამდენადაც უფრო უსაფუძვლო და უგვანო არის რომელიმე აზრი, მით უფრო დიდი ბაზარი აქვს...

შესაძლოა ვინმემ სთქვას, რომ კრიტიკულის მწერლობისათვის ნიადაგი, სარბიელი არა გვაქვს, რომ ჩვენი მწერლობა თითქმის ისეთს არაფერს წარმოადგენს, რაზედაც შესაძლოა კაცმა გონება ავარჯიშოსო. დიაღ, ადვილად შესაძლოა ამისთანა აზრს მოჰკრათ ყური, მაგრამ ესეთი აზრი ხომ ყოვლად უსაფუძვლო და უსაბუთოა და ნაყოფია ხსენებულის გარემოებისა. ჩვენი მწერლობა რაც უნდა ღარიბი იყოს, რაც უნდა იჭვნეულობის თვალით ვუყუროთ, მაინც ბევრს რასმე საგულისხმოსა და საყურადღებოს შეიცავს, რაიცა ღირსია საფუძვლიანად შესწავლისა, დაკვირვებისა. ძველსა და ახალს მწერლობაში ისეთი მწერლები გვყავს, ისეთი ნაწარმოებნი გვაქვს, რომლებსაც შეუძლიანთ დაამშვენონ არა მარტო ქართული ლიტერატურა; ჩვენი ცხოვრება, რაც უნდა იყოს, ბევრს საყურადღებო რასმე წარმოადგენს და ყოვლისავე ამის შესწავლას რომ შევუდგეთ და შრომა არ დავიზაროთ, მაშინ ხომ ჩვენი ცხოვრება, აზრი უფრო მაღალს წერტილზე, დადგებოდა და, მაშასადამე უფრო ჩქარის ნაბიჯით ივლიდა თავის გზაზე.

ნუ თუ ყოველივე ეს გულ-საკლავი და სულის დამჩაგვრელი ჩვენთვის სამარცხვინო და სამწუხარო არ არის? დიაღ, დრო არის ამ გარემოებას ჩავუფიქრდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენმა აზრმა რიგიანად ივარჯიშოს, თუ გვინდა, რომ ჩვენში თვით-ცნობიერობას ფრთა შეესხას და ძალა მიეცეს. მართალია, იმისთვის, რათა შევავსოთ ხსენებული ნაკლი, ბევრი რამ გარემოებაა საჭირო, მაგრამ უმთავრესი სახსარი ისევ ჩვენი მხნეობა და სამშობლო მწერლობისადმი სიყვარულია და ეს მხნეობა და სიყვარული უნდა განაძლიეროს იმ სურათმა ჩვენის საზოგადო აზრისამ, რომელიც ზემოდ დავასურათეთ.

ამიტომაც არ შეგვიძლიან სიხარულით არ მივეგებნეთ იმ ამბავს, რომ მეუნარგიას განზრახვა აქვს საჯარო ლექციები გამართოს ტფილისში. რასაკვირველია, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულა მეუნარგიამ მძიმე და რთული მოვალეობა მწერლობის წინაშე, მაგრამ ის-კი ვიცით, რომ იგი დიდი ხანია, რაც შეუდგა გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და ნაწერების შესწავლას, და ეს ხომ ერთი საბუთია იმისი, რომ ლექცია საზოგადო ყურადღებას დაიმსახურებს.

მეუნარგიას კრიტიკის საგნად გაუხდია დიდად თვალ-საჩინო მწერალი, რომელიც ეკუთვნის ფრიად საინტერესო ხანას ჩვენის ცხოვრებისას და რომელსაც განსაკუთრებული და ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში. ამ გარემოებას მაინც უნდა ჩავეჭიდოთ და ვათხოვოთ ყურადღება მეუნარგიას შრომას და ამით სხვებიც წავახალისოთ, რათა იმ გვარსავე შრომას ხელი მოჰკიდონ და მეტი სხივი და შუქი მოჰფინონ ჩვენს მწერლობასა.

ა. ნა—ლი

◆

ახალი ამბავი

⁂ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ბ-ნს იონა მეუნარგიას შეუდგენია ქართულს ენაზე ვრცელი ბიოგრაფია ჩვენის გამოჩენილის პოეტის, თავ. გრ. ორბელიანისა, და იმის ნაწერების კრიტიკული განხილვა და განზრახვა აქვს, საზოგადო ლექციები წაიკითხოსო. ამ ჟამად შეგვიძლიან ვაცნობოთ, რომ ბ-ნს მეუნარგიას უკვე დაუსრულებია თავისი შრომა და ოც მარტისათვის დაუნიშნავს პირველი ლექცია საადგილმამულო ბანკის თეატრში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ლექციებს, მით უფრო, რომ საგნადა აქვს ჩვენის მწერლობის ერთის საუკეთესო წარმომადგენელთაგანის ნაწარმოებთა შესწავლა.

⁂ ამ თთვის 19-ს ბ-ნ ე. ალნიაშვილის მგალობელთა ხორო აპირობს ქართულს თეატრში კონცერტის გამართვას. დიდი ხანია ქართველს საზოგადოებას აღარ მოუსმენია ამ ხოროს სიმღერები და არ დამტკბარა ზოგიერთის ჰანგებითა, რომელსაც მშვენივრად ამბობს ეს ხორო. ფრიად სასურველია, რომ ამ კონცერტზე მრავლად დაესწროს ჩვენი საზოგადოება, თვითონაც ისიამოვნოს და ასეთს სასარგებლო და ახალს საქმეში ხოროსაც დაეხმაროს და გული არ გაუტეხოს.

⁂ ჩვენის ქართულის თეატრის მომავალ სეზონისათვის პიესები ეხლავე უკვე მზადდება. როგორც გვაცნობეს, ა. ცაგარელს დაუწყია პიესა «კარდინალ რიშელიეს» თარგმნა და

ფელეტონი

სამეცნიერო ამბები

წყალს შეუძლიან სანთლის მაგიერობა გაგვიწიოს.—საიდამ სადა?—დაღლა ღონის დაკარგვაა, თუ არა?—ერთის დედის ღვიძლი შვილები არიან.—ძალის გარდაქმნა, გარდაცვალება.—ელექტრონის სინათლე.—ედისონის ლამპარი.—რა ძალა მოუცია ღმერთს მუქთად?—„ნიაგარის წყალ-ვარდნილი“.—საქმეში გამოყენება ამ წყალისა.—ნუ თუ ეს წარმატება არ არის?—საფრანგეთის და შვეიცარიის მაგალითები.—ყენევლების ამბავი.—ჩემი ოცნებით სავსე სიზმარი.—შესაძლოა თუ არა?

ვის არ გინახავთ პატარა წყალი, მაღალ ადგილიდამ რომ გადმოჩხრიალებს ხოლმე? ბევრს გენახვებათ აგრეთვე, რომ მაღალ კლდიდამ მოხეთქილა კარგად მოზრდილი წყალი, დაქანებული მოდის, მოჰხუვის, გადმოჩახჩახებს, გააქვს ძახილი, ყვირილი, ეცემა კლდის ძირში, აქ ჩუხჩუხებს, შფოთავს და ქაფს იგდებს. ან-კი რა ძვირი სანახავია ასეთი წყლები ჩვენ მთა-კლდიან ქვეყანაში!..

დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ ნახვით ბევრს გენახვებათ, ხოლო ის-კი ფიქრადაც არავის მოგივიდოდათ, რომ ეს წყლები ადამიანს შეუძლიან საქმეში გამოიყენოს, დიდის სარგებლით მოიხმაროს. არავინ იოხუნჯოს და დაცინვით არა სთქვას:

— შენ თუ არ გეთქვა, ჩვენ-კი არ ვიცოდით, რომ წყალი ბევრს საქმეშია გამოსაყენი, და წყალი ხომ წყალია, მაღლიდამ გადმოჩანჩქარებს, თუ მძიმედ ვაკეზე მოიზლაზნებაო.

— დიახ, ბატონო, მართალი იქნებოდით, რომ მარტო ეგა მქონოდა სახეში, მაგრამ მე მეტის თქმა მინდა. წარმოიდგინეთ, რომ ჩანჩქარა, თუ მაღლიდამ დაქანებული წყალი სხვა ბევრს რამეშიაც ყოფილა გამოსადეგი, —აი თუნდა, მაგალითად, გეტყვით: დაიჯერებთ, რომ ჩანჩქარ წყალს შეუძლიან ბნელაში გაგვინათოს, სანთლის მაგიერობა გაგვიწიოს?

— თუ არ დაგიშლია! ეგ არის, ჩანჩქარა წყლისაგან სწორედ ახლა პატრუქებს დაჰგრეხენ და ქონის ან კარტოფილის სანთლებს ჩამოასხმენ! ან არა კიდევ-და ნავთს გამოჰხდიან.

— რასაკვირველია, არც ერთს იზამენ და არც მეორეს, —რა საჭიროა? განა საქმე კარტოფილის თუ ქონის სანთელზე, ან ნავთზე ჩამოწყვეტილა? ამათ გარდა დღეს ხომ სხვა სანათებელიც არის? არის-კი არა, გაცილებით სჯობია კიდეც: თუ არ გინახავთ, გაგეგონებათ მაინც ესრედ წოდებული ელექტრონის სინათლე. ელექტრონით განათება შორი და ჭორი ამბავი აღარ გახლავთ. ელექტრონის ლამპრები დღეს ტფილისშიაც შეგიძლიან ჰნახოთ და, თუ გნებავთ, იხმაროთ კიდეც სანთლის ან ნავთის მაგიერ, მხოლოდ ეგ კია, რომ ცოტა ძვირად დაგიჯდებათ.

— ძალიან კარგიო, —მეტყვიან: ეს ელექტრონი ელექტრონად დარჩეს, მაგრამ ის ჩანჩქარა წყლები რაღა შუაში იყო? რა აქვთ საერთო ამ ელექტრონით განათებასა და ჩანჩქარა წყალს?

აი რა.

* *

ტალს რომ კვესი ჩამოჰკრათ, ნაპერწკლები გასცვივა. საიდამ, როგორ ან რამ გააჩინა ეს ნაპერწკლები? ტალისათვის კვესი რომ არ ჩამოგვეკრათ, ხომ ნაპერწკალი არ გაჩნდებოდა? მაშასადამე, ხელის ჩამოკვრას, ხელის განძრევას რაღაც მონაწილეობა ჰქონია ნაპერწკლის გაჩენისათვის. როგორ?

ხელს და ფეხს თუ დიდხანს ვასაქმებთ, დაღლილობასა ვგრძნობთ. დავიღალე, ძალა გამომელიაო, — ვიტყვით ხოლმე. მაშასადამე, დაღლა ძალის დაკარგვა ყოფილა. ხელის საქმობა ხომ ხელის გაუძრავად არ მოხდება, — მაშ ცხადია, რომ ყოველ ხელის გაძვრას ძალის დაკარგვა მოსდევს. სად მიდის, სად იკარგება, სად ჰქრება ეს ძალა, ღონე? სრულიადაც არ იკარგება. ძალა, მოძრაობა ერთხელ დაბადებული, აღარ გაქრება, სხვა საგნებზე გადადის, ზნესა და ფერს იცვლის და სხვა-და-სხვა გვარად იჩენს თავსა. აი, მაგალითად, ხელში რომ ტალი და კვესი ავიღო და ერთმანეთს ჩამოვკრა, ნაპერწკლები გასცვივათ. იმავ ხელში რომ წუმწუმა (სპიჩკა) ავიღო და კედელზე გავუსვა, სინათლე გაჩნდება, ან კიდევ ჩაქუჩს რომ ხელი წამოვავლო და მაგარს რამე ნივთს ცემა დავუწყო, ხმას ამოიღებს.

ხომ ჰხედავთ, რომ მე მხოლოდ ხელს ვასაქმებდი, ხელს ვაძლევდი მოძრაობას და ამ მოძრაობაში ძალასა ვკარგავდი. მაგრამ განა დაიკარგა? პირ-იქით, —ჩემმა ხელის ანძრევამ რაღაცა ახალი ძალა დაბადა: ეს ძალა ნაპერწკლად გადიქცა, სინათლედ და ხმაურობადა. ამიტომაც ამბობენ, რომ ნაპერწკალი, სინათლე, ხმა ერთი და იგივე მოძრაობაა, მხოლოდ სხვა-და-სხვა გვარად მიმართული, სხვა-და-სხვა გარემოებაში ჩაყენებული, სხვა-და-სხვა საგნებში გატარებული. ამ მიზეზისაგან წარმოსდგება ვითარების, თვისების სხვა-და-სხვაობაც, თორემ ჩამომავლობით-კი ერთის ჯიშისა, ჯურისა, ერთის დედის ღვიძლი შვილები არიან.

ასეთისავე ჯიშისაა ის ძალაც, რომელსაც ჩვენ ელექტრონობას ვუწოდებთ სახელად. მაუდს რომ ქარვა ან ლაქი წაუსვათ და მერე ეს ქარვა ან ლაქი ლოყასთან მიიტანოთ, რაღასაც იგრძნობთ, თითქოს ლოყაზედ ვილაც ოდნავ ბუმბულით შეგეხოთ. ლაქში და ქარვაში ელექტრონობამ იჩინა თავი. აქაც ელექტრონობის გაჩენის მიზეზი ისევ ის არის, რაც ზემოდ ვნახეთ: ხელი მოძრაობაში მოვიყვანეთ და ამ მოძრავმა ძალამ სხვა გვარი ძალი დაბადა.

* *

მეცნიერებამ კარგა ხანია გამოიკვლია და შეიტყო, რომ ამ გვარ მოვლენათ, როგორც სინათლეა, ელექტრონობა, ხმაურობა და სხვანი, ერთი და იგივე სათავე აქვთ. ეს კიდევ არა-

ნახევარი უკვე გადათარგმნილი აქვსო; დ. ერისთავს კიდევ გადაუთარგმნია ნევეჟინის პიესა «მეორედ გაახალგაზდავება». ეს ორივე პიესა ჩვენ გვინახავს რუსულს ენაზედ და უნდა ესთქვათ, რომ თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს ქართულს რეპერტუარში, ნათარგმნ პიესებს შორის.

⁂ სოფ. ვაშლოვანის საზოგადოებიდამ გვატყობინებენ, რომ ტფილისიდგან დაბრუნებულთ მენახშირეებს, გოუბანში მცხოვრებთ პეტრე კელბერაშვილს და სიმონა დათიაშვილს, სოფ. შინდისის აღმართში, ღამე, ორს ამ მარტს, დასცემიან ვიღაც ავაზაკები, რომლებსაც წაურთმევიათ ერთი ცხენი და მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლით თავში სიმონა დათიაშვილი, რომლის მორჩენა საიმედო აღარ არისო. ამ საქმეზედ მაზრის უფროსს საჭირო განკარგულება მოუხდენია.

⁂ საინგილოდამ გვწერენ: მღ. დ. ჯანაშვილი, რომელიც აქ მისიონერად იყო გამწესებული, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, პალადიმ, თებერვლის დამდეგს გაამწესა მღვდლის ადგილას ქალაქ ნუხაში. მამა ჯანაშვილის მოღვაწეობას აქ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სოფ. თასმალოს ინგილოები, რომლებიც ამ ორიოდ წლის წინად წინანდელმა ბლაღოჩინმა, დ. უთიაშვილმა, მოაქრისტიანა და რომელნიც ისევ განდგომას აპირებდნენ, მ. დ. ჯანაშვილის მეცადინეობისა და ზედგავლენისა გამო აღარ გადუდგნენ სარწმუნოებას. მისიონერმა მიჰმართა «კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას» და სთხოვა, აეგოთ თასმალოში ახალ ქრისტიანებისათვის ეკკლესია და გაემწესებინათ საკუთარი მოძღვარი. აქამდის ეს ქრისტიანები მიწერილნი იყვნენ სოფ. ყორაღნის ეკკლესიაზედ, რომელიც თასმალოს შორავს თითქმის ათის ვერსით. ეს სიშორე დიდად აბრკოლებდა თასმალოელების დრო-დროზედ წირვა-ლოცვის მოსმენას კვირა-უქმე დღეებში. ხსენებულმა საზოგადოებამ შეიწყნარა მისიონერის მოხსენება და გადასწყვიტა როგორც ეკლესიის აგება, ისე მღვდლის დანიშნვა ს. თასმალოში.

ამ ორსავე გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს აქაურ ქრისტიანებისათვის, რადგან ამათ გარეშემო სცხოვრობენ გამაჰმადიანებული ინგილოები, რომლებსაც აქვთ მრავალი მეჩითები სამრევლო სკოლებითურთ. ამ სკოლებში ყმაწვილებს მოლები ასწავლიან არაბულს ენაზე, რომელიც არა თუ მოწაფეთ, არამედ მასწავლებელთაც არ ესმით, რადგან ინგილოები ოჯახობაში, ვითარცა ქართველნი, ქართულად ლაპარაკობენ.

დღეს ჩვენ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას მღ. დ. ჯანაშვილის მისიონერობის ავ-კარგიანობაზე. ეხლა მღ. ჯანაშვილის თხოვნით სწარმოებს გამოძიება. ამ გამოძიებამ უნდა აღმოაჩინოს და გამოაქვეყნოს საბუთნი იმ კაცთა, რომელთა საიდუმლო მეცადინეობით და მიწერ-მოწერით დიმიტრი გადაყენებულ იქმნა მისიონერობის თანამდებობიდამ.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ მღ. ჯანაშვილს მისიონერად მყოფობის დროს შეუდგენია ვრცელი წერილი შესახებ ქრისტიანობის მდგომარეობისა საინგილოში და წარუდგენია იგი წერილი ეგზარხოსისათვის განსახილველად და აღსაბეჭდავად ნება-დართვისათვის. როგორც შევიტყვეთ, ეგზარხოსს მოუწონებია იგი წერილი და ნება დაურთავს აღიბეჭდოს ზოგიერთის ალაგების გამოკლებით.

⁂ გაზეთ «მწყემსის» რუსულს განყოფილებაში (№ 4) დაბეჭდილია დეკანოზ ნიკოლოოზ კალისტოვის წერილი საქართველოს ეგზარხოსის, მისის ყოვლად-უსამღვდელოესის პალადის მოღვაწეობის შესახებ. მ. კალისტოვი მოგვითხრობს, თუ რა საშუალებით უნდა ახალს ეგზარხოსს აღადგინოს და განაძლიეროს კავკასიაში ქრისტიანობა. სხვათა შორის ეგზარხოსს განზრახვა აქვს გაავრცელოს და განაძლიეროს «მართლ-მადიდებელის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების» მოღვაწეობა და მოქმედება. ეგზარხოსს აზრად აქვს, დაეხმაროს ამ საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელმა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, აღადგინოს ყველა ის ეკკლესიები, რომელნიც ცნობილნი არიან თავისის სიძველით და საეკკლესიო მოღვაწეობით და ჰმოწმობენ, რომ ოდესმე კავკასიელ მთიულთა შორისაც ჰყვაოდა ქრისტიანობა. აგრეთვე ამ ეკკლესიებს უნდა შესძინონ ყოველივე საჭირო ნივთები, წიგნები. გარდა ამისა ეგზარხოსმა წინადადება მისცა ხსენებულს საზოგადოებას, რომ გაამწესოს მისიონერები სამს ადგილას, სადაც მწვალებლები და სხვა-და-სხვა ტომის ერნი სცხოვრობენ, რომელთა შორის ქრისტიანობა შერყეული და შესუსტებულია. მ. კალისტოვს ნამდვილად შეუტყვია, რომ მისიონერებად უნდა დაინიშნონ ისინი, ვისაც სასულიერო აკადემიაში დაუსრულებია სწავლა; მისიონერების მოვალეობა იქნება ქრისტიანობა გაავრცელონ მთიულ ერთა შორის, რომლებიც ოდესმე ქრისტიანენი ყოფილან და დროთა ვითარების გამო მაჰმადიანობაში ჩაცვივნულან. მისიონერებმა, ამბობს კალისტოვი, ზედ-მიწევნით უნდა იცოდნენ ადგილობრივი ენები, ჯამაგირად თვითოეულს უნდა დაენიშნოს არა ნაკლებ ათასის მანეთისა და სამოგზაუროდ უნდა მიეცეს ოთხასიოდე მანეთი. აგრეთვე ხსენებულმა საზოგადოებამ უნდა დააარსოს კიდევ ოც-და-ხუთი სკოლა, გარდა იმ ოც-და-ხუთისა, რომელიც დღეს არსებობს.

⁂ აქაურს გაზეთებში სწერია შემდეგი ცნობა: ტფილისის საქალაქო სასწავლო კომიტეტს დაუდგენია 3-ს მარტს, რომ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ქართულს განყოფილებაში და ქალაქის ქართულ პირველ-დაწყებით სკოლებში იდღესასწაულონ 14-ს იანვარს წმინდა ნინობა და 10-ს ნოემბერს წმინდა გიორგობა.

◆

ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდამ)

ვინც იცის ღრმად მოფიქრებული და პატიოსანი მიმართულება გაზ. «Рус. Вѣд.»-ისა, იმას არ გაუკვირდება, რომ ეს გაზეთი სწორედ იმ დროს, როცა სხვები პოლიტიკაში ირთმევენ სულს და ერთმანერთის გასასწორებლად აწიაწოს იძახიან, ეს გაზეთი-მეთქი, ვამბობთ, თავის ყურადღებას არ აკლებს ფრიად დასაფიქრებელს ამბებს თვით შინაურ ცხოვრებისას და დიდის გულ-მოდგინებით ჩასჭიდებს ხოლმე ხელს ყოველსავე, რაც-კი ქვეყნის ყოფა-ცხოვრების განკარგების აღსანიშნელია და მომასწავებელი. აი დღესაც გაზეთის გულ-მტკივნეულობა და წრფელი ყურადღება მიუქცევია სრულიად სხვა გარემოებას, ვიდრე საპოლიტიკო ამბებია ევროპისა.

> ამას წინადამ, — ამბობს მეთაური წერილი გაზეთ. „Рус. Вѣд.“-ისა, ჩვენ დავბეჭდეთ ცირკულიარი სარატოვის გუბერნატორისა ცირკულიარი მიმართულია გუბერნიის ყველა წოდების კაცთან, ვისაც-კი ცოდნა აქვს თავის გუბერნიის მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრებისა. ამ ცირკულიარით გუბერნატორი სთხოვს ზემოხსენებულ მცოდნე კაცებს, შემატყობინეთ თქვენი აზრი, რამ გაალარიბა ჩვენი გუბერნია და რა არის მიზეზი რომ ვალები დასდებია, როგორც გლეხკაცობას, ისე თავად-აზნაურობას. შემატყობინეთ გულ-წრფელად ისიც, თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ეშველოს ასეთს მდგომარეობასაო.

გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ ასეთი გულ-მტკივნეულობა გუბერნატორის მხრით ცარიელი გატაცება-კი არ არის სიკეთის მოტანის სურვილითა, არამედ შედეგია გუბერნიის ყოფა-ცხოვრების დაკვირვებისა და იმის საჭიროებათა შესწავლისაო. და მართლაც, ამ დაკვირვებას, ამ შესწავლას გუბერნატორის მხრივ აღმოუჩენია,

> რომ თუმცა 1883 წელს ყოვლად მოწყალე მანიფესტის გამო სარატოვის გუბერნიას ეპატია სახელმწიფო გარდასახადი თითქმის 3 მილიონ მანათამდე, მაინც 1887 წელს ამ გუბერნიას 3 მილიონზე მეტი შესატანი დაატყდა სახელმწიფო გარდასახადისა და ამას გარდა დაედო კიდევ ვალად ნახევარ მილიონ პურზე მეტი პურის მაღაზიებისა. ფულად რომ ვიანგარიშოთ ეს პური $1^1/_2$ მილიონის მანათისა გამოვა. ამ ვალს გარდა საერო და საზოგადო გარდასახადი დაედო კიდევ $1^1/_2$ მილიონი. სულ 4 წელიწადში 6 მილიონი მანათი დააწვა ვალად.

თვით გუბერნატორი დაჰკვირვებია საქმესა და შეუნიშნავს, რომ ხვნათესვა უწესო და ურიგოაო, რომ საქონელი ცოტა ჰყავს გლეხ-კაცობას, მოსავალი მეტად ნაკლებია და მცირე, ყველგან სიღარიბე და ნაკლებულობა გიდგებათ თვალ-წინაო, ხოლო ყოველსავე ამას ის მოსდევს, რომ გამრავლდა ავ-კაცობა; ციხე, საპყრობილენი და სამკურნალონი გაივსო ხალხითაო, ვალმა და ვახშმა იმატა დიდადაო.

> ამიტომ მივმართავ გუბერნიის ადმინისტრაციასაო, სწერს თავის ცირკულიარში ბ-ნი გუბერნატორი სარატოვისა: და ვამცნევ, რომ იმისი ვალი მარტო ის-კი არ არის, აგვაცილოს უწესოება, არამედ ისიცა, რომ მხნედ ეცადოს და საკეთილო ცვლილებანი განახორციელოს ცხოვრებაში; ის-კი არ არის, რომ უგულოდ, ფორმალურად მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს, არამედ ცნობიერად გამოვირკვიოთ ქვეყნის საჭიროებანი და ვიზრუნოთ ერის სასარგებლოდ. მივმართავ აგრეთვე, განაგრძობს შემდეგ გუბერნატორი: თავად-აზნაურთ და მემამულეთა და მოვაგონებ, რომ მიწად-მფლობელობა, გვანიჭებს რა უფლებასა, ამასთანავე ტვირთსა და ვალდებულებასაცა გვდებს, რომ კეთილად მოწყობილი მეურნეობა თავად-აზნაურ ძლიერი ზნეობრივი და ქონებრივი იარაღია ერის კეთილდღეობის ასამაღლებლადაო. მივმართავ აგრეთვე საერო გამ-

---

ფერი. მეცნიერებამ ისიც შეიტყო, რომ შესაძლოა, ერთი გვარი მოძრაობა, ერთი ძალა მეორედ გარდიქმნას, გარდიცვალოს. მაგალითად, ხელისა თუ სხვა რამის მოძრაობას შეუძლიან ელექტრონობა დაბადოს, ელექტრონი შეგვიძლიან სინათლედ გადავაქციოთ და სინათლე კიდევ ისევ ელექტრონად. ასეთი გარდაქმნა, გარდაცვლა ერთის ძალისა სხვა ძალად დღეს მეცნიერებამ საქმითაც დაამტკიცა. ავიღოთ თუ გინდ აი ეს ელექტრონის სინათლე. საიდამა ჩნდება ეს სინათლე?

არის ერთ გვარი მაშინა, რომელსაც „დინამო-ელექტრონულ მაშინას“ ეძახიან. ეს მაშინა იმ გვარად არის მოწყობილი, ისეთ ნივთიერებისაგან არის გაკეთებული, აშენებული, რომ, თუ მოძრაობაში მოიყვანე, უთუოდ ელექტრონული ძალა გაჩნდება და არა სხვა. მაშინას მობმული აქვს მართულები, მართულების ბოლოებზე გამართულია კრკალივით ერთ გვარი ლითონი, რომელსაც პლატინა ჰქვიან, ანუ ჩვენებურად თეთრი ოქრო. მართულების ბოლოები და კრკალად მოგრეხილი ლითონი მინის ბურთშია ჩასმული და სრულიად შეკრული.

ეხლა «დინამო-ელექტრონული მაშინა» რომ დავატრიალოთ, ელექტრონული ძალა გაჩნდება. ეს ძალა მართულებში გადავა, გაირბენს თვალის დახამხამების უმალ რაც უნდა დიდი მანძილი იყოს, მართულების ბოლოებში ნაპერწკლებად იქცევა, ნაპერწკლები ლითონში გადავა, ერთმანეთ შეჰხვდება, მოეკიდება, მთელს კრკალს ალი მოედება, — და აი ელექტრონის ლამპარი, ნაზის და ძლიერის სინათლით მზად არის. ამ გვარი ელექტრონის ლამპარი პირველად გამოჩენილმა ედისონმა გააკეთა. ამიტომაც ამ ლამპრებს ედისონის ლამპრებს ეძახიან.

**

ყველა ზემოდ მოყვანილ მაგალითებში მოძრავ ძალის გასაჩენად ხელს ვასაქმებდით: ტალკვესს ხელით ვაყურევინებდით ცეცხლსა, წუმწუმას ხელით ვუსვამდით კედელსა და სხვანი, და ამ გვარად ერთ გვარ მოძრაობას მეორე, სულ სხვა თვისების მოძრაობა მოსდევდა. არ გეგონოთ, რომ მარტო ადამიანს შეუძლიან ერთი მოძრავი ძალა მეორედ გარდაჰქნას, გარდაასხვაფეროს. არა, არის უფრო უკეთესი ღონის-ძიება, ვიდრე ადამიანის ძალ-ღონე.

აი ავიღოთ თუ გინდ ისევ ის «დინამო-ელექტრონული მაშინა». ადამიანის ძალ-ღონე ვერ შესწვდება ამ ვეებარა მაშინას, რომ პირდაპირ ხელით დაატრიალოს, მოძრაობაში მოიყვანოს. ან-კი რა საჭიროა, როდესაც ადამიანის მაგიერობა შეუძლიან გასწიოს ცხენმა, ორთქლმა, წყალმა. ცხენის, ორთქლის, წყლის მოქმედება, მოძრაობა იმ გვარათვე ჰბადავს სხვა გვარ მოძრაობას, ძალას, როგორც ადამიანის ხელისა.

ამათში წყალი ყველასა სჯობია: ცხენს დიდი შენახვა უნდა, წყლის ორთქლად გარდაქცევასაც ბევრი ხარჯი სჭირდება. იმას რა სჯობს, რომ მაღლიდამ გადმოქანებული — წყალი გამოვიყენოთ საქმეში. ფასი არ გაგვივა და არაფერი, ღმერთს მუქთად მოუცია ეს ძალა. ძალა-კი, როგორც ქვემოდ დაინახავთ, ძალიან დიდი აქვს.

**

ამ საქმეს პირველად ამერიკელები შეუდგნენ. რაკი მეცნიერებამ შეიტყო, რომ მაღლიდამ დაქანებულს წყლებს დიდი ძალა აქვთო და ამ ძალის მოხმარება ბევრ ნაირად შეიძლებაო, აბა სარფის მიმდევარი ამერიკელი რაღას გაუშვებდა ხელიდამ ამ ძალას, მით უფრო, რომ ამერიკაში არის ერთი გადმოქანებული უზარმაზარი წყალი, რომელსაც ნიაგარის «წყალ-ვარდნილს» ეძახიან. ეს წყალი საშინელის სიმაღლიდამ დაქანებული გადმოდის ძირს — და დიდი ძალა აქვს. ადამიანს რომ შეძლება ჰქონდეს და მთელი ეს ძალა საქმეს მოახმაროს, შეიძლებოდა, რაც მთელ დედამიწის ზურგზე ქარხნები და ფაბრიკებია, სულ ამით ემუშავებინა. ამას-კი ადამიანი ჯერ ვინ იცის, როდის მოესწრება, და აი ცოტა ოდენი ძალა-კი გამოუგლეჯიათ ამ უზარმაზარ წყლისათვის.

იმ ადგილიდამ, სადაც ეს წყალი ძირისკენ ექანება, ამერიკის ინჟინერებს პატარა ტოტი მოუწყვეტიათ და მილებით ერთი ათის ვერსტის მანძილზე წამოუყვანიათ. იქ, სადაც მილი თავდება, ბორბალია გამართული, სწორედ ისე, როგორც წისქვილისა. თუმცა პატარა ტოტია მოწყვეტილი და კარგა შორსაც არის წამოყვანილი, მაგრამ ძალა მაინც იმოდენა აქვს, რომ, ასი-ათას ცხენის ძალას შეედრებაო. აბა დანარჩენი რა-ღა ღონისა იქნება?და ეს ამოდენა აუარებელი ძალა დღემდე მუქთად იკარგებოდა! დღეს-კი საქმეში მოიხმარებენ. ამ საქმეში მოთავეობა უკისრნიათ რამდენსამე ფულიან კაცსა, რომელთაც საკუთრად ამისთვის ფული გამოულიათ და საზოგადოება შეუდგენიათ. ვისაც უნდა ისარგებლოს, ამ საზოგადოებას მიჰმართავს. იმოდენა ძალის მოხმარება, რაც ერთის ცხენის ძალას შეედრება, ეღირება წელიწადში სამ თუმნადაო. ეს ფასი მეტად იაფია, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს ძალა ათას გვარ საქმეშია გამოსაყენებელი. დღით შეუძლიან კაცს წისქვილის ქვები დაატრიალოს, სალეწი, ან სანიავებელი მაშინა და სხვანი ამოქმედოს, — ერთის სიტყვით, გამოიყენოს როგორც ვის უჭირს. ღამით-კი იგივე ძალა სანთლის მაგიერობას გაუწევს. ამისათვის საკმაოა მხოლოდ ედისონის ლამპარი ჰქონდეს და ელექტრონს-კი მზად მისცემს იგივე საზოგადოება და იმავე სამს თუმანში.

საზოგადოებაც ასე იქცევა: დილით მაშინების სამუშავოდ აძლევს ძალას და ღამით-კი ამავე ძალას, ელექტრონად გადაქცეულს, უგზავნის მართულების შემწეობით. წყლის ძალის ელექტრონად გარდაქმნაც ძნელი საქმე არ არის. ამ ბორბალს, რომელსაც წყალი ატრიალებს, საკმაოა მიუდგან «დინამო-ელექტრონული მაშინა» და მართულებში ელექტრონული ძალა დაიწყებს სირბილსა.

სადაც ეს ტოტია გამოყვანილი, ამის ახლოს ერთი ქალაქია, სადაც ბლომად არის ქარხნები და ფაბრიკები. და აი მარტო ეს ქალაქი პირობით შეჰკვრია ზემოხსენებულ საზოგადოებას, რომ წელიწადში ათი ათასი ცხენის ღონის ოდენა ძალა აძლიონ. ქალაქს განზრახვა აქვს თურმე ყველა ქარხნები და ფაბრიკები ამ ძალით ამუშაოს და ღამეობით მთელი ქალაქი ელექტრონით გაანათოს... ნუ თუ ეს წარმატება, წინ ერთის-კი არა, ორის ფეხის გადადგმა არ არის?!..

**

თითქმის ერთსა და იმავე დროს ამერიკელებთან ერთად ამავე საქმეს

გეობასა და საერო მოღვაწეთა და ვსთხოვ, მეტის ზრუნვით მოეკიდონ ერის ჯან-მრთელობის საქმეს, აკეთონ და ასწორონ გზები, ჰმართონ ბანკები საქონლის შესაძენად გლეხთა მიერ, დააარსონ დეპოები მარტივის სახნავ-სათესი იარაღისა, სკოლები სამეურნეო სწავლისა და ცოდნის გავრცელებისათვის, შემნახველ-დამზოგველი ამხანაგობანი და სხვანი. ვსთხოვ სამღვდელოებასაც მტკიცედ მოაწყოს სამრევლო სკოლების საქმე და მიეშველოს ერს თუ გონებით, და თუ ზნეობით იმის წარსამატებლად.

გუბერნატორს არ ავიწყდება სოფლის მოხელენიცა. იმათაც შესაბამს დარიგებასა და რჩევას აძლევს სოფლის ზრუნვისა და მოკეთეობის შესახებსა. ჩვენის აზრით, მიბაძვისა და სრულის თანაგრძნობის ღირსია ასეთი კეთილი საქციელი ბ-ნ სარატოვის გუბერნატორისა.

უცხოეთი

გერმანია. მოგვყავს მოკლედ შინაარსი რესკრიპტისა, რომელიც ახალმა იმპერატორმა ფრიდრიხმა თ. ბისმარკს მისწერა:

«ჩემო ძვირფასო თავადო! ჩავიბარე რა მართვა ქვეყნისა, საჭიროდ მიმაჩნია მოგმართოთ თქვენ, დიდის ხნისა და დამსახურებულს პირველს ყმას ჩემის განსვენებულის მშობლისას. თქვენ იყავით იმისი განუშორებელი და გულ-უშიშარი მოთათბირე, ერთგული თანამზრახველი. თქვენ ამძლევდით სახეს ყოველს იმის აზრს, თქვენგან ჰქონდა შესხმული ხორცი იმის პოლიტიკას, თქვენ ჰქმნიდით საქმედ იმის სიტყვასა. მეცა და ჩემი სახლიც თქვენი დიდი და დიდი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ. ამიტომ თქვენ პირველსა გაქვთ უფლება და სიმართლეც მოგიძღვით პირველმა შეიტყოთ, რა აზრს ვადგევარ მე ქვეყნის მართვის საქმეში.

«კონსტიტუცია და რიგი და კანონები იმპერიისა და პრუსიისა უნდა იყოს დაცული და პატივცემული უპირველეს ყოვლისა. დაცული და პატივცემული უნდა იყოს საკონსტიტუციო დაწესებულებანი დიდის სიმტკიცით, იმიტომ-რომ ერთხელ და სამუდამოდ ძვალსა და რბილში გაუჯდეს ერს და ზნედ გადაექცეს პატივის-ცემა და მოწიწება საკონსტიტუციო კანონისა და რიგის წინაშე. ამისათვის საჭიროა მორიდებულნი ვიყვნეთ, რომ ხშირად არ იცვლებოდეს სახელმწიფო დაწესებულებანი და კანონები. ჩვენმა საერთო წარმატებამ არ უნდა შეარყიოს ის მტკიცე საფუძველნი, რომელზედაც პრუსიის სახელმწიფო იყო დამყარებული. საჭიროა აგრეთვე პატივსა ვსცემდეთ იმ საკონსტიტუციო უფლებათა, რომელიცა აქვთ მინიჭებული ჩვენთან შემოერთებულს მთავრობათა. აგრევე უნდა პატივსა ვსცემდეთ რეიხსტაგის ყოველს უფლებასაცა. გარნა მეორეს მხრით იმასაც უნდა ვსცდილობდეთ, რომ ასეთს პატივსა სცემდნენ იმპერატორის უფლებასაცა. სახეში უნდა გვქონდეს, რომ ყველა ამ უფლებათა დანიშნულებაა ემსახუროს საყოველთაო კეთილდღეობასა და წარმატებას. ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დიდი და უმაღლესი კანონი მაინც შემდეგი წესი იქნება: დაკმაყოფილებულ უნდა იქმნას სრულად და სავსებით ყოველი ახლად დაბადებული საჭიროება ერისა. ყოველ ამ საქმის შესასრულებლად და წარსამატებლად უკეთესს თავმდებად მიმაჩნია ხელ-შეუხებლობა მხედრობისა, ჩემის ნაცადის ჯარისა და ახლად დაბადებულის ფლოტისა, რომელსაც ფრიად საყურადღებო საქმეები აქვს მას აქეთ, რაც შორეულს ზღვებს იქით გაგვაჩნდა საბრძანებელი ქვეყნები. ჯარი და ფლოტი მუდამ იმ სიმაღლეზე უნდა იდგეს, რა სიმაღლეზე დგომამაც დიდებითა და ძლევა-მოსილობით შეჰმოსა იმათი სახელი აქამდე და, იმედია, შეჰმოსავს შემდეგაცა.

«მე მტკიცედ განვიზრახე, განვაგო სახელმწიფოს საქმენი კონსტიტუციის ბრძანებათა კეთილ-სინიდისიერის აღსრულებითა. კონსტიტუცია, დაარსებული ჩემთა მამა-პაპათა მიერ იმ ბრძნულის აზრით, რომ მან გული მოუგოს ერსა და გაამთელოს მის ცხოვრების იარანი, ყველასაგან პატივცემული უნდა იყოს, რადგან უამისოდ თავის კეთილს ძალას ვერ გამოიჩენს იგი კონსტიტუცია. მე მსურს, რომ სარწმუნოებისათვის არავინ დევნილი არ იყოს, ისე, როგორც არავინ არ უდევნიათ ამისათვის ჩემთა მამა-პაპათა. ყოველი ქვეშევრდომი სახელმწიფოსი ჩემთვის ერთ ნაირად ძვირფასია და საყვარელი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს, იმიტომ-რომ ყველამ ერთ ნაირად დაამტკიცა თავისი ერთგულება სამშობლოსადმი დროსა საშიშსა. მამაჩემსავით მეც გულითა და სულით ვეცდები, ქვეყნის საცხოვრებელმა იმატოს და თითოეულის ქონება და დოვლათი გამდიდრდეს. ყველა წოდებისათვის ერთ ნაირად ვეცდები და ერთ ნაირის გულმტკივნეულობით ვიზრუნებ-რომ რაც საწინააღმდეგოა მათ შორის, ან საქიშპო და ან საცილობელი ცხოვრების შემენის მხრივ, ყოველივე განელდეს, საერთო სასიამოვნოდ გათავდეს, მშვიდად მოთავსდეს ერთად. ერთის სიტყვით, ვეცდები შეძლებისა დაგვარად შემცირდეს ის აუცილებელი ბოროტება, რომლის გამოც დიდი უსწორ-მასწორობა სუფევს ცხოვრებაში. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვა, რომ იმედი ნუ მიეცემა ნურავის, ვითომ სახელმწიფოს შეეძლოს თავის ჩარევით ამ საქმეში მოსპოს ყოველივე საუბედურო და საჭირ-ბოროტო უსწორ-მასწორობა ცხოვრებისა.

«ჩემის აზრით, დიდი კავშირი აქვს ამ საქმესთან იმ ზრუნვასაც, რომ ახალი და მოზარდი თაობა რიგიანად აღიზრდებოდეს. თუ ერთის მხრით საჭიროა მოვახერხოთ, რომ უნივერსიტეტში შესვლა რაც შეიძლება მომეტებულს ყმაწვილ-კაცობას ეხერხებოდეს, მეორეს მხრით საჭიროა გავფრთხილდეთ, რომ ფუქსავატმა, სახელდახელოდ ნასწავლობამ საშიში არა დაბადოს-რა და თავგასულობით არ მოითხოვოს ის, რის მიცემასაც ერის ქონება და დოვლათი ვერ გასწვდება და ვერ აუვა; ამასთანავე იმასაც უნდა ვერიდოთ, რომ ცალ-კერძა გატაცებამ მრავალის ცოდნის შეძენისამ არ დაგვავიწყოს საქმე ყმაწვილ-კაცობის ჭეშმარიტის აღზრდისა. მხოლოდ მაშინ ექმნება ნასწავლს ახალგაზრდობას ძალა წინა აღუდგეს და ეურჩოს იმ საშიშროებას, რომელიც ჩვენმა დრომ დაჰბადა, — დრომ დიდის საეკონომიო ცვლილებისამ, — როცა იგი ახალგაზრდობა აღიზრდება ღვთისა შიშით, მარტივის ცხოვრების სიყვარულითა და არ გაიტაცებს თითო-ოროლას მაგალითი მეტად მდიდრულის ცხოვრების სურვილისა.

«მე მსურს, რომ ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში ვერიდოთ და სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზე არ იხარჯებოდეს იმდენი, რამდენის ხარჯვაც არ ეგების და შესაწყნარებელი არ არის. დიდის გულ-მოდგინეობით განვიხილავ ყოველს ახალს საფინანსო ცვლილების საქმეს, თუ გულს დავაჯერებ, რომ ჩვენი ძველებური მომჭირნეობა ხელ-მოკლე იქნება აგვაცილოს თავიდამ ახალის ბეგარისა და ხარჯის შემოღება, ან მეტად შემოღებულის შემცირება.

«საჭიროა ისიც განვსაჯოთ, შესაძლებელია თუ არა, რომ უფრო მარტივი და სადა იქმნას ადმინისტრაცია. თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ შეიძლება მოხელეთა რიცხვის შემცირებას ის მოჰყვეს, რომ ჯამაგირი მიემატოს თვითეულსა. თუ ამ სახით მოვახერხეთ და დავიცავით საფუძველნი სახელმწიფო და საზოგადოებრივის ცხოვრებისა, ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება ვეცადო, რომ სავსებით გაძლიერდეს გერმანიის მეცნიერება და ხელოვნება, ისეც ესოდენ გაძლიერებული და აღყვავებული.

«ამ ჩემ განზრახვათა შესრულებასა და განხორციელებაში მე დიდი იმედი მაქვს თქვენი, თქვენის ნაცადის ერთგულებისა და თქვენის გამოცდილებისა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ასეთის მშვიდობიანის გზით ახალი დიდება შეემატოს გერმანიასა და პრუსიას ყველა ჩემ ქვეშევრდომთა ერთგულის დახმარებითა, ყველა დაწესებულებათა თანამშრომლობითა და საერო წარმომადგენლობის თავ-განწირულის მოქმედებითა. მე დიდსა და შარავანდედით მოსილს საქმეებს არ მივსდევ და სრულის კმაყოფილებით ავივსები, თუ იტყვიან როდისმე ჩემს მეფობაზე, რომ მეფობა მისი საკეთილო იყო ერისათვის, სასარგებლო — ქვეყნისათვის და საბედნიერო — იმპერიისათვისა.

თქვენი კეთილის-მოსურნე
ფრიდრიხ III

— თუმცა ახალი იმპერატორი ბევრსა მუშაობს და დიდს ფიქრსა და ზრუნვაშია, მაინც კარგად ჰგრძნობს თავსა. ექიმი მაკენზი ამბობს, რომ ფიქრი და ზრუნვა, გონებით მუშაობა კიდეც არგებს იმპერატორს და წყენით-კი არაფერს აწყენსო. საჭიროა ის არის მხოლოდ, რომ გაციებას ერიდოს და სალაპარაკო სასინჯები არ დაეღალოსო. საზოგადოდ ექიმები იმ აზრისანი არიან, რომ იმპერატორი კიდევ დიდხანს იცოცხლებს და ყელის ტკივილი არაფერს დაუშავებს, თუ სხვა რამ არა მოემიზეზა-რაო. ის ადგილი ყელისა, რომელიც გასჭრეს და შიგ მინის მილი ჩაუსვეს, უკვე მორჩენია და შეჰხორცებია. ამ მინის მილით თავისუფლად ჰსუნთქავს იმპერატორი. მილს ზემოდამ წმინდა კისაი აქვს გადაკეთებული, რომ ან მტვერი, ან-და მეტად ცივი ჰაერი არ ჩავიდეს. ქება და დიდება ჯარის-ექიმს ბრამანსა, რომელმაც ასეთის ხელოვნებით შეასრულა ტრახეოტომიის ოპერაცია.

წვრილი ამბები

— ვენაში შემდეგი უბედურება მომხდარა, რომლის გამოც ეხლა იქ დიდი აყალმაყალი და მითქმა-მოთქმაა თურმე გამართული. სამედიცინო ფაკულტეტის ახალგაზრდა სტუდენტს, ფოსტის მოხელის შვილს, შეჰყვარებია თავის მშობლების მზარეული ქალი. როცა მშობლებს შეუტყვიათ ეს ამბავი, მაშინვე დაუთხოვნიათ მზარეული ქალი. ყმაწვილ კაცსა და ქალს ისე სწყენიათ ეს გარემოება, რომ გადაუწყვეტიათ — თავი მოვიკლათ და სიცოცხლე მოვისპოთო. ამ განზრახვით სასტუმროში ერთი ოთახი დაუჭერიათ, უშოვნიათ სამართებელი და პირველად მზარეულ ქალს გამოუჭრია ყელი, შემდეგ სამართებელი ყმაწვილ კაცს აუღია და სულ ერთიანად გამოუ-

---

შეუდგნენ საფრანგეთშიაც, ერთს პატარა ქალაქში, სახელად შატოლენში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შატოლენის ახლო «წყალ-ვარდნილს» დიდი სიმაღლე არა აქვს, ბევრი-ბევრი ადლ-ნახევარ გადააჭარბოს. [illegible] საკვირველია, ესეთი პატარა ავალა დიდს ძალასაც ვერ მისცემს ქალაქსა. შატოლენს ბევრის სიხარბეც არა აქვს თურმე. ამ პატარა ქალაქს ოც-და-თხუთმეტი ელექტრონის ლამპარი ჰყოფნის, და წყალიც იმოდენა ძალას იძლევა, რომ მთელის ქალაქის ლამპრებს ანათებს. ქალაქი ელექტრონით არის განათებული და [illegible] სინათლე ძვირადაც არ უჯდება, — მეტი რაღა უნდა?

მაინც ეს წყალ-ვარდნილები პატარა დაბა-ქალაქებისათვის არის უფრო გამოსადეგი. ამიტომაც დღეს ბევრი დაბა-ქალაქია შატოლენისავით განათებული ელექტრონით, რომელიც წყალ-ვარდნილების წყალობით ძვირი არ უჯდებათ.

**

პატარა შვეიცარიაც, რასაკვირველია, არ ჩამორჩა არც ამერიკას და არც საფრანგეთს, მით უფრო, რომ თვით ბუნებაც ხელს უწყობს ამ ქვეყანას. შვეიცარია მთიან-კლდიანი ქვეყანაა ჩვენის ქვეყნისავით, და სადაც მთა და კლდეა, იქ „მთით გადმონადენი წყლებიც“, რასაკვირველია, იქნება. შვეიცარიამ გამოიყენა კიდეცა საქმეში ამისთანა წყლები. ბევრს რომ არ გამოვუდგეთ, ერთს მეტად თვალ-საჩინო მაგალითს მოვიყვანთ.

შვეიცარიაში ერთი ქალაქია, სახელად ჟენევა. ეს ქალაქი ერთ მოზდილ ტბის ნაპირას არის გაშენებული. ამ ტბას ერთი დიდი წყალი ჩაუდის. ეს წყალი ისევ გამოდის ამ ტბის მეორე ნაპირიდამ და თითქმის შიგ შუა ქალაქში გადმოჰხეთქს, გადმოშხუის, ისეთ დაქანებულ ადგილას მოდის.

ბევრს ეჭირა თვალი ამ ალაგზე და უნდოდათ როგორმე ხელში ჩაეგდოთ ეს წყალი, — ეტყობა წინადვე კარგადა ჰქონდათ გამოანგარიშებული, რა სარგებლობას მოუტანდა საქმის მცოდნე და მხნე კაცს. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთმა საფრანგეთის სავაჭრო ამხანაგობამ ექვსი თუ შვიდი მილიონი აძლია ჟენეველებს, ოღონდ ტბიდამ რომ წყალი გამოდის, ჩვენ დაგვეთმეთო. ჟენეველები არ დასთანხმდნენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფასში ვერ მორიგდნენ, ერთი ორად მეტსა სთხოვდნენ, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ იფიქრეს, სხვის მიცემას ჩვენვე გამოვიყენოთო, — ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ასეცა ჰქმნეს.

ჟენეველები თითონვე შეუდგნენ საქმეს და ყველა საჭირო სამუშაო და შენობები სამ-ოთხ მილიონამდე უჯდებათ. წყლის ძალის საქმეში გამოსაყენებლად, ესე იგი, სხვა ძალად გარდაქმნისათვის ერთ გვარ ბორბლებსა ხმარობენ. თითო ბორბალი თითქმის სამი ათასი თუმანი ჯდება. უშველებელი შენობაა დღეს გაკეთებული წყლის პირას, სადაც რვა ბორბალი კიდეც მუშაობს თურმე. ამ ახლო ხანებში თექვსმეტს ამისთანა ბორბალს კიდევ მოუმატებენო. როდესაც ყველა ამას გააკეთებენ, იმოდენა ძალა ექმნებათ, რომ თორმეტი ათას ცხენის ძალას გაუსწორდება. ეს ძალა არამც თუ თვით ქალაქს, რაც ახლო-მახლო პატარა ქალაქები და სოფლებია, იმათაც-კი გასწვდება. ერთს წილს ამ ძალისას მილის-წყლის გასაყვანად ხმარობენ. და ჯერ დღესაც იმოდენა წყალს იძლევა, რომ მთელს ქალაქს ჰყოფნის და თხუთმეტამდე გარშემო სასოფლო საზოგადოებასაც.

მეორე წილი ამ ძალისა წვრილმან ქარხნების და ფაბრიკათა მაშინების სამუშაოდ მიდის. დღესვე ას ორმოცამდე მექარხნე და მეფაბრიკე პირობით შეკრული ქალაქის გამგეობასთან. ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, უფრო მეტი მუშტარი აუჩნდება ქალაქსა.

დღესვე საქმე ისე მიდის, რომ ჟენევას კარგი შემოსავალი მოელის. ამოიღებს თუ არა იმ ხარჯს, რაც შენობებზე და ბორბლებზე წაუვიდა, და თავის თავენს დაიბრუნებს, მაშინ მარტო წმინდა მოგებას-ღა ჰნახავს. ამ მოგებით ქალაქი გაუძლვება ყველა ხარჯს, რაც ქალაქის გამგეობას უნდება, პოლიციას, და შეიძლება ამავე შემოსავლით სკოლებიც შეინახოს... მარტო ერთი წყალი ამდენს სიმდიდრეს სძენდეს ქალაქსა, — განა ეს ბედნიერება არ არის. დიახ, ბედნიერებაა, როცა მეცნიერება და ბუნება კაცს ერთმანერთისათვის მიუშველებია და, რაც ღმერთს მუქთად მიუცია, კაცი საქმეში იყენებს!..

**

დრო და ადგილი რომ ნებას მაძლევდეს, კიდევ ბევრს ამისთანა მაგალითს მოვიყვანდი. მაგრამ განა რაც გიამბეთ, ის-კი არა კმარა. მგონი აქედამაც ცხადადა სჩანს ის, რის თქმაც მინდოდა. ეხლაც არ დაიჯერებთ, რაც ზემოდა ვსთქვი: „წყალ-ვარდნილს“ შეუძლიან ბნელაში გაგვინათოს და სანთლის მაგივრობა გაგვიწიოს-მეთქი. ეს-კი არა მარტო, სხვა ბევრი რამ უნარიც შევიტყეთ ამ «წყალ-ვარდნილის» წყლისა.

ჩვენი ქვეყანაც ხომ მთიან-კლდიანია, და „მთიდგან მონაქანი წყლებიც“ ბევრი მოიპოვება. მერე მოვესწრობით როდისმე იმ დღეს, რომ ჩვენც უცხოელებისავით საქმეში გამოგვეყენებინოს?! რატომ? თუმცა ოცნება-კი იქმნება, მაგრამ ხანდისხან ოცნება ტკბილია, და აი ასეთს ოცნება ვეძლევი.

გაუვლია ორას-სამას წელიწადს. მთელი ეს დიდი ხანი რაღაც უცნაურ სიზმარში გაგიტარებია. გამოჰფხიზლდი, თვალებს იფშვნეტ, იხედები აქეთ-იქით, უყურებ შენს სამშობლო ქვეყანას და ველარ გიცვნია. აგერ სადღაც მივარდნილ ალაგას, სადმე არაგვის ხეობაში, კლდიდამ წყალი გადმოგრიალებს; აქვე ბორბალი ტრიალებს, «დინამო-ელექტრონული მაშინა» მუშაობს და ამუშავებს მაშინას, რომელიც ლუდსა ჰხდის, მაშინას, რომელიც ქერს ჰლეწავს, მაშინას, რომელიც ერბოსა ჰდღვებავს; აგერ დაღამდა და იმავე წყლისა და „დინამო-ელექტრონულ მაშინის“ წყალობით მთელი სოფელი ელექტრონის ლამპრებით არის განათებული...

განა ეს შესაძლო, დასაჯერებელი არ არის?.. ვინ დაიჯერებდა ამ ასის წლის წინად ჩვენს ქალაქში რომ ეთქვა ვისმე აი თუნდ, მაგალითად, ესა: ამ დილით გორში მინდა წავიდე, სადილს იქ გიახლებით და საღამოზედ ვახშმად თქვენ გეწვევითო. განა რომ მაშინ სიცილადაც არავის ეყოფოდა? აბა ახლა დღეს წამოდგეს ვინმე საფლავიდამ იმ დროისა, — რას იტყოდა? განა რომ აღარ გაიკვირვებდა. მეცნიერება ისეთის აჩქარებულის სიარულით მიდის დღეს წინა, რომ დღეს ვითომ ყოვლად შეუძლებელი, ხვალ სრულიად შესაძლებელია. ტყუილად-კი არა სთქვა ფილოსოფოსმა ბეკონმა, რომ პროგრესი კაცობრიობისა არა-შესაძლოსის მიჯნების განზე გაწევა და შორს გადადგმაა.

დონ-იაგო

ღადრავს კისერი. რაღა თქმა უნდა, რომ სული მაშინვე დაულევია. რაც შეეხება მზარეულს ქალს, ის ცოცხალი დარჩენილა. როცა ეს ქალი გაუსინჯავთ, ექიმებს აღმოუჩენიათ, რომ ჭრილობა სასიკვდილო არ არის და შეიძლება მორჩეს, მხოლოდ გაჭრილს ადგილას რეზინის მილი უნდა გაიკეთოს.

— გორლიცში ვიღაც მკითხავს ერთის ახალგაზდა ქალისათვის უთქვამს, რომ ოც-და-ხუთ წლამდე ვერ იცოცხლებო. ამ წინასწარ-მეტყველებას ისეთი დიდი გავლენა ჰქონია ყმაწვილ-ქალზე, რომ მაშინვე წასულა დრეზდენში და ელბში დაურჩვია თავი. პოლიციას მკითხავი დაუპატიმრებია.

— ამერიკის გენერლები ათას გვარს სხვა საქმესა ჰკიდებენ თურმე ხელსა, როცა სამსახურში არ არიან. მაგალითებრ: გენერალი ბარტლეტი ერთის თავშესაფარის გამგეა, გენერალი უებბი — სასწავლებლის ზედამხედველი, უოლლესი რომანებსა სწერს, სლოკუმი ბანკირია, სმაინი ვექილობს და მანე ვაჭრობს.

— ყველაზედ მოხუცებული კაცი გერმანიისა სცხოვრობს სოფ. გუტტაში, პოზნანშია. ეს კაცი დაბადებულა 1764 წ., ე. ი. ეხლა 124 წლისაა.

— შეშლებული მათხოვარა. ყველა პარიჟელი იცნობს თავის მათხოვარა, რომელსაც თითქმის ყოველთვის შეჰხვდება სენ-ჟერმენის უბნის ახლო. იმისი კონკი და ბრანძი ტანისამოსი, იმისი ფერ-მიმკრთალი და სნეული სახე ყველას ჯიბეში ხელს გააკრევინებს ხოლმე მოწყალების ამოსაღებად. ამას წინად ეს მათხოვარა, სახელად პაკკარელი, დაუპატიმრებიათ, რადგან მარგარიტა გიტარს საჩივარი შეუტანია, რომ 2,000 მანათი მომპარაო. პოლიციას გაუჩხრეკია მათხოვარას სახლი და 24,000 მან. აღმოუჩენია სახლში შესაბრალისსა და შესაწყალებელს გლახაკსა. თუმცა ქურდობა ვერაფრით დაუმტკიცებიათ ამ შეშლებულ მათხოვარასათვის, მაინც დაპატიმრებული ჰყავთ თურმე. მარგარიტა გიტარი ამ კაცის საყვარელი იყო და ტყუილად მოუგონია ქურდობა, რა არის გავაგებინო ყველას ამისი სიმდიდრე და ამით ჯავრი ამოვიყაროო, რადგან არა შვრება და არ უნდა თავისი ქონება სიცოცხლეშივე მე მიანდერძოსო. როცა მათხოვარასათვის უკითხავთ: რა საქმეს ადგეხარო? — უპასუხნია: «ბირჟაზედ ფულს ვატრიალებო».

— ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი, რომ შვეციის პრინცი ოსკარი ცოლად ირთავს სიყვარულით სამეფო შთამომავლობისა და თავის სისხლისა და ხორცის ქალს-კი არა, არამედ შვეციის უბრალო ქვეშევრდომს ქალს მუნკსაო. წარსულს კვირას სასახლის ბალი ყოფილა, რომელზედაც ყველაზედ მეტს ყურადღებას იქცევდა თურმე ოსკარის დანიშნული თავისის სილამაზითა და სიმშვენიერით. სამეფო გვარეულობაც დიდის ყურადღებით მოჰქცევია ამ ქალსა; სხვათა შორის მუნკთან რამდენჯერმე უცეკვნია შვეციის მემკვიდრე პრინცსა. პრინცს ოსკარს კოტილიონი უთამაშნია თავის საცოლესთან, მაგრამ უფრო ბევრი ულაპარაკნიათ და უბაასნიათ შეუვარებულებს, ვიდრე უცეკვნიათ. შვეციის სამხატვრო გაზეთებსა და ჟურნალებს უკვე დაუბეჭდიათ პრინცის ოსკარის საცოლეს სურათი.

გასართობი

აი ერთი ანეგდოტი გარდაცვალებულ იმპერატორს ვილჰელმსა და თ. ბისმარკზედ.

გარდაცვალებულნი იმპერატორნი ალექსანდრე II და იმპერატორი ვილჰელმი ერთხელ ერთად ისხდნენ თურმე ემსში და მუსიკას ისმენდნენ. დიდ-ძალნი მოსეირნენი იყვნენ და ამათ შორის ცოტა არ იყო აგრეთვე ცნობის-მოყვარე გერმანელიც, რომელნიც ახლო უვლიდნენ ხოლმე მეფეებს, მდაბლად თავს უკრავდნენ და ათვალიერებდნენ.

გარდაცვალებულმა იმპერატორმა რუსეთისამ წაიხუმრა, რომ მგონი ძალიან სასიამოვნო არ უნდა იყოს გარედ გამოსვლა, როცა ამდენი თვალი და ყური დარაჯადა ჰყავს ადამიანსაო.

სწორედ ამ დროს გამოჩენილა ბისმარკი, მეფეებისათვის თავი დაუკრავს და გაუვლია განზე.

— ეხლა-კი თავს დაგვანებებენო, — უთქვამს იმპერატორს ვილჰელმსა.

— განა რა მოხდა ისეთი?

— ის მოხდა, რომ ბისმარკმა გაიარა და ყველანი იმას დაუწყებენ ცქერასაო.

**

ბელგიის გაზეთებში ამას წინად მოთხრობილი იყო შემდეგი სასაცილო ანეგდოტი პაპა ლეონ მე-XIII ცხოვრებიდგან. როცა ეხლანდელი პაპა ჯერ ისევე პაპის წარმომადგენელად იყო ბრიუსელის სასახლეში, ერთხელ ერთ პირველ ხარისხოვან სასტუმროში შევიდა თურმე სადილის საჭმელად. როგორლაც ისე მოჰხდა, რომ გვერდით დაუჯდა ერთი მეტად საძაგელი და თავის წამლები კაცი, რომელმაც მთელ სადილის დროს არ მოასვენა თურმე ლეონი და ებაასებოდა გარყვნილის სიტყვა-პასუხით, რათა გულზედ მოეყვანა და გაეცხარებინა. პაპის წარმომადგენელი მაინც წარბ-შეუხრელი იყო და თავის მეზობლის უსირცხვილობას არაფრად იმჩნევდა. დასასრულ, უზრდელმა კაცმა ამოიღო თურმე ჯიბიდგან ნახევრად გახდილის ურცხვ ქალის სურათი, აჩვენა პაპის წარმომადგენელს და ჰკითხა:

— როგორ მოგწონს, განა რომ მშვენიერია?

— არა უშავს-რაო! — უპასუხა თურმე ლეონმა არხეინის და მშვიდობიანის ხმით. — რაღა თქმა უნდა, რომ აგრეთი მშვენიერი სურათი თქვენის მეუღლისა იქმნება!

ამ მოსწრებულს სიტყვაზედ ყველას სიცილი და ხარხარი დაუწყია და დიდხანს დასცინოდნენ თურმე უზრდელს კაცსა.

**

ახირებული სასტუმრო გაუმართავთ ამას წინად ბრიუსელში. ამ სასტუმროსა ჰქვიან „კატორღელების ბინა“ („La Bagne“) და თავის გარეგანის მორთულობით ძალიანა ჰგავს თურმე კატორღასა. მაგარი და უშველებელი შესავალი კარები მხოლოდ ზარის ჩამორეკის შემდეგ იღება. შესავალთან ერთი მსახურთაგანი, ჯალათად ჩაცმული, შემსვლელს პატარა ქაღალს აძლევს, რომელიც ახლა სხვა მსახურს უნდა გარდაეცეს. ეს სხვა მსახური რომ წაიკითხავს ბარათს, ხმამაღლა იძახის: „სასჯელ-დადებულო, შემოდითო!“ სასტუმროს კედლებზე სურათებია ჩამოკიდებული, რომლებზედაც გამოხატულია ეპიზოდები კატორღელთა ცხოვრებიდგან. სასტუმროში შესულთ ემსახურებიან მსახურნი, რომელთაც კატორღელის ტანისამოსი აცვიათ და ხელსა და ფეხში ბორკილები უყრიათ. იმ სტუმარს, რომელსაც გამოსვლა უნდა სასტუმროდგან, ჯალათი აძლევს პატარა ბარათსავე განთავისუფლებისას, რომელზედაც აღნიშნულია, რომ ამ კაცმა რაც მიირთვა, ყველაფრის ფული გარდაიხადაო. თუ ეს სიტყვები სწერია ბარათზე, მაშინ მეორე ჯალათი კარს გაუღებს და თავისუფალია.

დეპეშა

10 მარტი

პეტერბურგი. როგორც ისმის, სენატს დაუდგენია, რომ ნაფიცი ვექილები უნდა სცხოვრობდნენ სამოსამართლო პალატის იმ ოლქაში, სადაც ნაფიც ვექილებად ითვლებიან როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო ქალაქებში და აგრეთვე ოლქის იმ ადგილებშიაც, სადაც შემოღებულია მომრიგებელი სასამართლოები. ნაფიცმა ვექილმა პასუხი უნდა აგოს დისციპლინარულის წესით იმ შემთხვევაში, თუ ოლქის სასამართლოს ბრძანებით არ გამოცხადდა.

პარიჟი. შედგენილია და დანიშნული სამხედრო გამომძიებელი კომისია გენერალ ბულანჟეს საქმის საწარმოებლად. კომისიის თავ-მჯდომარედ დანიშნულია გენერალი ფევრიე. გენერალი ბულანჟე ხვალ უნდა გამოცხადდეს კომისიის წინაშე.

პეტერბურგის ბირჟა 8 მარტი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო.	— ,,	— ,,	9 70
ტამოჟნის კუპონები .	— ,,	— ,,	195 ,,
მანათიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	1 42
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	265½
—მეორისა	244 ,,	— ,,	— ,,
გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14,

ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4,

ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

12 დღე შაბათი. ღირსისა თეოფანისა და გრიგოლ დიდისა. სომეხ. წმ. თეოდორე სტრატილატესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა. – ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. მთვარე 13 დღისაა.

13 დღე კვირა. გადატანა წმ. ნიკიფორის ნაწილთა. კათოლ. ეკატერინესი. მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 6—18. მთვარე 14 დღისაა.

14 დღე ორშაბათი. ღირსისა ბენედიქტესი. კათოლ. მატილდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა, 1873 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—53, ჩადის 6—20. მთვარე 15 დღისაა.

15 დღე სამშაბათი. წამება წმ. აღათიასი, ალექსანდრესი და დიონოსიასი. კათოლ. ლონგინისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 6—12. მთვარე 16 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 15 მარტამდე »

თეთრი პური რუსული	1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .		3 »
2 ›		2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.		5 ›
› » 2 ›		3½ ›
› › 3 ›		3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა .		5 ›
მე-2 ხარისხისა . .		4 ›
მე-3 — . . .		› ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.		10 ›
სუკი		16 ›
ძროხის ხორცი . . .		9 ›
› 2 ›		8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.		» ›
› 2 ›		» ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი.	—	—	8	49	ბათუმი. . . .	—	—	8	4
ავჭალა. . . .	9	9	9	11	ქობულეთი .	8	54	8	57
მცხეთა. . . .	9	32	9	40	ნატანები. . . .	9	25	9	29
ქსანი	10	3	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი.	10	33	10	36	ლანჩხუთი. . .	10	35	10	39
გრაკალი . . .	10	59	11	1	ნიგოითი. . .	10	51	10	53
გორი.	11	25	11	40	საჯავახო . . .	11	14	11	16
ქარელი . . .	12	8	12	11	სამტრედია.	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური.	1	2	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი.	2	—	2	3	ყვირილა. . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი . . .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი. .	4	15	4	18	მარელისი. . .	3	47	3	49
ძირულა.	4	45	4	48	ბეჟათუბანი.	4	18	4	37
ყვირილა. . .	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი. . . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი.	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური.	6	17	6	32
კოპიტნარი.	7	08	7	10	გომი.	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი.	7	16	7	19
საჯავახო. . . .	8	5	8	7	გორი	7	44	7	54
ნიგოითი. . . .	8	27	8	30	გრაკალი. . . .	8	15	8	17
ლანჩხუთი . . .	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა.	9	19	9	27	ქსანი	9	19	9	39
ნატანები. . . .	9	52	9	55	მცხეთა.	9	28	9	34
ქობულეთი. .	10	22	10	25	ავჭალა	9	52	9	54
ბათუმი . . .	11	13	—	—	ტფილისი . . .	10	15	10	46

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					საღამოთი			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი . . .	—	—	2	59
ავჭალა .	3	46	3	49	ხაშური . .	3	11	3	27
მცხეთა .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი .	5	24	5	29	გორი . . .	5	4	5	15
გრაკალი .	6	—	6	3	გრაკალი. .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი. .	6	31	6	45	კასპი. . . .	6	18	6	24
ქარელი. .	7	18	7	24	ქსანი. . . .	6	55	6	59
გომი . .	7	53	8	1	მცხეთა. . .	7	24	7	32
ხაშური .	8	24	8	38	ავჭალა . . .	7	55	7	58
სურამი .	8	50	—	—	ტფილისი . .	8	24	—	—

Доз. цен. Тиф., 11 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე